# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/205

ქ. თბილისი 22 ივლისი 2019

**საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის №37 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქეოლოგია“, ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მერაბ ძნელაძე;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**